პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 28 (10114) | ხუთშაბათი, 3 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სპეციალისტებს მთელი ძალღონე მოახმარონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის დასახული პროგრამის წარმატებით შესრულებას, რათა ჩვენს ქვეყანას უახლოეს წლებში საკმაოდ ჰქონდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ჩვენი ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი უმოკლეს ვადაში წარმატებით გადაჭრიან ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1955 წლის 31 იანვარს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 27).

მატყლის წარმოების გადიდების შესახებ

7. მატყლის წარმოებისა და განსაკუთრებით ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების გადიდების მიზნით საჭიროა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ცხვრის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და გადიდდეს მატყლის საშუალო ნაპარსი ერთ ცხვარზე კოლმეურნეობებში სულ ცოტა 3,0 კილოგრამამდე და საბჭოთა მეურნეობებში — 4,2 კილოგრამამდე.

უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი გადიდება. ჩრდილოეთ კავკასიის, სამხრეთ უკრაინის, ქვემო ვოლგისპირეთის რაიონებში ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრის სულადობა აყვანილ იქნას ამ რაიონების ცხვრის საერთო სულადობის 80-90 პროცენტამდე და მატყლის ნაპარსი კოლმეურნეობებში 4,2-4,8 კილოგრამამდე და საბჭოთა მეურნეობებში 5-5,5 კილოგრამამდე; დასავლეთ ციმბირისა და შუა ვოლგისპირეთის რაიონებში — 60-70 პროცენტამდე და მატყლის ნაპარსი კოლმეურნეობებში — 3,7-4,2 კილოგრამამდე და საბჭოთა მეურნეობებში — 4-4,5 კილოგრამამდე საშუალოდ ერთ ნაზმატყლიან ცხვარზე.

უზრუნველყოფილ იქნას ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის სწრაფი განვითარება აღმოსავლეთ ციმბირის, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ და ამიერკავკასიის რაიონებში. საჭიროა გამოყენებულ იქნას შესაძლებლობანი ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის შუა აზიის რესპუბლიკებში და საქართველოს მეცხვარეობის განვითარებისათვის ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში.

მეფრინველეობის განვითარება

8. გადიდდეს 1960 წელს 1954 წელთან შედარებით ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 2,5-3-ჯერ და ყოველი ღონისძიებით წახალისდეს მეფრინველეობის განვითარება კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში.

მოწესრიგდეს საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურების მუშაობა და უზრუნველყოფილ იქნას ყოველ წელიწადს სულ ცოტა 500 მილიონი წიწილის გამოყვანა, რომლებიც მიეყიდოს კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას გასაზრდელად. მოეწყოს საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურებში ფრინველის გასუქება სახორცედ.

აღმოიფხვრას მოზარდეული ფრინველის შენარჩუნებისა და გაზრდის საქმის სერიოზული ნაკლოვანებანი, უზრუნველყოფილ იქნას სადგომთა მშენებლობა და მოწყობა, გაუმჯობესდეს ფრინველის კვება და მოვლა-შენახვა, რათა მკვეთრად გადიდდეს ქათმების კვერცხმდებლობა და აყვანილ იქნას იგი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ ცოტა 110 კვერცხამდე თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე წელიწადში.

მოეწყოს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში ბატარიიანი გალიების წარმოება მოზარდეულის გასაზრდელად და კვერცხმდებელი დედლების შესანახავად, გასათბობი სისტემების წარმოება საწიწილეებისათვის, ავტომსარწყულებლებისა და მეფრინველეობის ფერმების სხვა მოწყობილობის წარმოება.

9. მეფრინველეობის პროდუქტებით დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად საჭიროდ ჩაითვალოს, რომ დამატებით მოეწყოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მეფრინველეობის ახალი დიდი ფაბრიკები. დავალოს აღნიშნულ სამინისტროებს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და შეიტანონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში წინადადებანი ამ საკითხზე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, სადაც ეს შესაძლებელია, მოაწყონ მეფრინველეობის დიდი ფერმები და გამოიყენონ ფრინველის ინტენსიური მოვლა-შენახვა; უზრუნველყონ ფართო მასშტაბით წყალმცურავი ფრინველის მოშენება, განსაკუთრებით ციმბირის რაიონებში.

IV.

საკვები ბაზის განმტკიცების შესახებ

მეცხოველეობის სწრაფი განვითარების ამოცანის განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის უზრუნველყოფას კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვების საკმაო რაოდენობით. ეს მოითხოვს საკვები ბაზის ორგანიზაციის ძირეულ გაუმჯობესებას და არსებული რეზერვების სრულად გამოყენებას.

მაგრამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრი ხელმძღვანელი უდარდელ დამოკიდებულებას იჩენენ საკვების წარმოებისადმი, არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს საკვები ბაზის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

საკვების წარმოებაში ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ის იყო, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო არასწორად გეგმავდნენ საკვების წარმოებას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ყველგან ინერგებოდა მრავალწლიანი ბალახების ნათესები, როგორც მთავარი საშუალება საკვები ბაზის შექმნაში. მრავალწლიანი ბალახები ფართოდ ვრცელდებოდა სამხრეთის გვალვიან რაიონებში, სადაც მათ არ შეეძლოთ მოეცათ უხვი მოსავალი. ამავე დროს ბევრ ძვირფას საკვებ კულტურას უგულებელყოფდნენ.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრმა ხელმძღვანელმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიმინდს მეცხოველეობის უზრუნველყოფაში კონცენტრირებული, წვნიანი და მწვანე საკვების საკმაო რაოდენობით. 1954 წელს სიმინდის მასობრივი თესვის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეს კულტურა ჯეროვანი დამუშავებისას ყველგან იძლევა უხვ მოსავალს და სხვა კულტურებთან შედარებით შრომის მინიმალური დანახარჯვისას შესაძლებლობას გვაძლევს უზრუნველყოთ მეცხოველეობა მაღალხარისხოვანი კონცენტრატებითა და სილოსით. სიმინდის მოყვანაში განსაკუთრებით კარგი მაგალითი გვიჩვენა ბელორუსიის სსრ ბევრმა კოლმეურნეობამ, რომლებმაც ამ კულტურის უხვი მოსავალი მიიღეს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 50-70 ცენტნერი მარცვალი ტაროებად და 500-700-მდე ცენტნერი სიმინდის ღეროების სილოსი. შარშან მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სიმინდის ნათესების გაფართოების დარგში აგრეთვე რუსეთის სფსრ მთელმა რიგმა ოლქებმა, განსაკუთრებით ომსკის, რიაზანის, ლიპეცკის ოლქებმა და კრასნოიარსკის მხარემ. ამავე დროს სიმინდის მოყვანის კარგი მაგალითები გვიჩვენეს მოსკოვის, ტულის, კალუგის, კოსტრომის ოლქებში, ლიტვის, ესტონეთის სს რესპუბლიკებში და მთელ რიგ სხვა რაიონებში, მაგრამ ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1954 წელს სიმინდის დანერგვა თვითდინებას მიანდეს.

სიმინდის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, რომელიც ფართოდ შემოწმებულია წარმოებაში, და მისი მოსავლის აღება კომბაინებით დიდ შესაძლებლობას უქმნის სიმინდის მოყვანას, იძლევა საშუალებას მოვახდინოთ ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების სამუშაოთა სრული მექანიზაცია, ბევრად შევამციროთ შრომის ხარჯები ამ კულტურის მოყვანაზე, გავადიდოთ მისი მოსავლიანობა და გავხადოთ სიმინდი წამყვან კულტურად მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში.

ცუდად იყენებენ წვნიანი საკვების წარმოების მკვეთრი გადიდების შესაძლებლობებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ჭარხლის, კარტოფილის, საკვები საზამთროს, გოგრის, ტურნეპსის, სტაფილოსა და სხვა კულტურების ნათესების გაფართოების და მათი უხვი მოსავლის მოყვანის გზით.

მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში არ ხორციელდება თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის ხელმისაწვდომი ღონისძიებანი ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების დარგში. საძოვრების მნიშვნელოვან ნაწილს იყენებენ უყაირათოდ, პირუტყვის ძოვების ნაკვეთმორიგეობის სისტემას ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ იყენებს, რაც იწვევს ბუნებრივი სავარგულების საკვები პროდუქტიულობის მკვეთრ შემცირებას. იმ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს მტკიცე საკვები ბაზის შექმნასა და უხვმოსავლიანი საკვები კულტურების ნათესების დანერგვას მწვანე კონვეიერისათვის, ძლიერ ცუდად ინერგება, რაც აფერხებს პროდუქტიული პირუტყვის საზაფხულო ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის ფართოდ დანერგვას. სამომთაბარო მეცხოველეობის რაიონებში დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს სამუშაოები საძოვრების წყლით უზრუნველყოფის, მეცხოველეობის და საცხოვრებელი სადგომების მშენებლობისა და საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნის დარგში, რაც მკაცრ ზამთრიან წლებში პირუტყვის დიდ დანაკარგს იწვევს.

წლითიწლობით არ სრულდება მეცხოველეობის, განსაკუთრებით მეფრინველეობის საჭიროებისათვის კომბინირებული საკვების, თევზის ფქვილისა და ხორცძვლის ფქვილის წარმოების გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ საფურაჟე მარცვლისა და სხვა კონცენტრატების ქმევა პირუტყვისა და ფრინველისათვის კომბინირებული საკვების სახით უფრო ეფექტიანია, ჯერაც არ არის ორგანიზებული კომბინირებული საკვების წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნედლეულისაგან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. გადიდდეს საკვების წარმოება 1960 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემდეგ ოდენობამდე: კონცენტრირებული საკვებისა — სულ ცოტა 65 მილიონ ტონამდე, ანუ ხუთჯერ და უფრო მეტად, ვიდრე 1953 წელს; სილოსისა — სულ ცოტა 176 მილიონ ტონამდე, ანუ ხუთნახევარჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს; ძირხვენებისა, საკვები ბაღჩეული კულტურებისა — სულ ცოტა 38 მილიონ ტონამდე, ანუ ოთხჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს; კარტოფილისა — სულ ცოტა 25 მილიონ ტონამდე, ანუ ხუთჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს; უხეში საკვებისა — 178 მილიონ ტონამდე, ანუ ერთნახევარჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს.

ახლა მთავარია ის, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გვქონდეს საკვები კულტურების ნათესები ისეთი ოდენობით, რომელიც ყველა სახეობის პირუტყვს უზრუნველყოფს საკვების საჭირო რაოდენობით. არასწორად ჩაითვალოს შექმნილი პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობებს ზევიდან უწესებდნენ საკვები კულტურების თესვის გეგმებს ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, რაც ზღუდავდა ინიციატივას და საშუალებას არ აძლევდა თვით კოლმეურნეობებს დასათესად შეერჩიათ მოცემულ პირობებში ყველაზე მოსავლიანი საკვები კულტურები.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომებს განსაზღვრონ საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი საკვების წარმოების იმ გეგმების საფუძველზე, რომლებიც თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და რაიონმა შეიმუშავა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და მთელი არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებით ისე, რომ ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების დავალებანი 1955-1960 წლებში უთუოდ შესრულდეს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შემუშავების დროს გაითვალისწინონ აგრეთვე იმ უხეში და წვნიანი საკვების საჭიროება, რაც შრომადღეებზე უნდა მიეცეთ კოლმეურნეებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰყავთ პირუტყვი. ეს ღონისძიება გააძლიერებს კოლმეურნეთა დაინტერესებას საკვები ბაზის შექმნით და გახამტკიცებს შრომის დისციპლინას კოლმეურნეობებში.

პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მტკიცედ უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ საკვებით პირველ რიგში და სავსებით უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში.

2. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დიდი რაოდენობით თესლის სიმინდი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ კონცენტრირებული და წვნიანი საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის საქმეში სიმინდს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

დაევალოს სსრ კავშირის საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყონ 1955 წელს სპეციალური კომბაინის შექმნა, რომელიც ცალკე აიღებს სიმინდის ტაროს და ცალკე სიმინდის ღეროს სასილოსედ.

3. რადგან კარტოფილის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესისა და მისი ორი მიმართულებით მექანიზებული დამუშავების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს კარტოფილის მოყვანაზე შრომის ხარჯვას და უხვი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონების, ურალის, ციმბირის, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქების, უკრაინის პოლესიეს, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ კარტოფილის წარმოების გადიდება საკვებად.

მიიღონ ღონისძიებანი საკვები ძირხვენების, საკვები კომბოსტოს, საკვები ხანჭკოლისა და საკვები საზამთროსა და გოგრის ნათესების გასაფართოებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად, ამასთან ყველგან დანერგონ თესვის კვადრატული და კვადრატულ-ბუდობრივი წესები, ნათესების მოვლის სამუშაოთა მექანიზაცია, პრაქტიკაში შემოიღონ საკვები კულტურების თესვა ნაწვერალზე და შემჭიდროებული თესვა.

4. თივითა და სხვა უხეში საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის მხრივ შექმნილი მდგომარეობის შეუწყნარებლობის გამო დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ თივის წარმოებისა და დამზადების საქმე. ამ მიზნით საჭიროა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ბუნებრივი სათიბების მდგომარეობა და უახლოეს წლებში ერთნახევარჯერ-ორჯერ გაადიდონ მათი მოსავლიანობა. იმ რაიონებში, სადაც მრავალწლიანი ბალახები თივის კარგ მოსავალს იძლევა, მიიღონ ღონისძიებანი ბალახთესვის შემდგომი განვითარებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამყურას ნათესების გაფართოებას და მოსავლიანობის გადიდებას არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში და იონჯისა — შუა აზიის, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ყაზახეთის სამხრეთ ოლქებსა და სხვა რაიონებში, სადაც იონჯის ნათესები კარგ მოსავალს იძლევა.

ფართო მასშტაბით მოაწყონ მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესება, რათა მკვეთრად გაადიდონ მათი პროდუქტიულობა და უზრუნველყონ ისეთი მდგომარეობა, რომ შეიძლებოდეს ბალახების მექანიზებულად აღება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებას და პროდუქტიულობის გადიდებას სამხრეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის რაიონებში ლიმანური მორწყვის, თოვლის შეკავების, ადგილობრივ პირობებთან ყველაზე შეგუებული ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების დათესვისა და გამოთესვის გზით.

5. რადგან პირუტყვის საზაფხულო მოვლა-შენახვის გაუმჯობესებას, როგორც მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მოაწყონ საძოვრების სწორი გამოყენება ძოვების ნაკვეთმორიგეობის შემოღებით, დანერგონ მწვანე კონვეიერი მეწველი პირუტყვის კვებისა და დამატებითი კვებისათვის, გაითვალისწინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმო გეგმებში ამ მიზნით საკვები კულტურების დათესვა ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს პირუტყვის სრულ და შეუფერხებელ კვებას მწვანე საკვებით მთელი ზაფხულის პერიოდში.

6. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გააუმჯობესონ ბალახების მეთესლეობა და უზრუნველყონ თესლის წარმოება ისეთი ოდენობით, რაც საჭიროა ბალახების თესვის გეგმების შესრულებისა და მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის. აღადგინონ ცერცველის სასაქონლო მეთესლეობა მისი მოყვანის ძირითად რაიონებში, ფართო ოდენობით მოაწყონ საკვები ხანჭკოლის, საკვები ძირხვენებისა და ბაღჩეული კულტურების მეთესლეობა.

7. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და დამზადების სამინისტროს 1955 წლის 1 მაისისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეიტანონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს კომბინირებული საკვების წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა სახეობისა და ჯგუფის პირუტყვისა და ფრინველისათვის მრავალნაირი სრულფასოვანი კომბინირებული საკვების გამოშვება. დამზადების სამინისტრომ მოაწყოს აგრეთვე კომბინირებული საკვების წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნედლეულისაგან, საფურაჟე მარცვლეულისა და სხვა კონცენტრატების გაცვლა კომბინირებულ საკვებზე.

8. დაევალოს რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შეიმუშაონ და 1955 წლის 1 აგვისტოსათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარადგინონ გეგმა უწყლო რაიონების კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საძოვრების წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებებისა, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა აღნიშნული ღონისძიებანი განიხილოს და 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეიტანოს წინადადებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საძოვრების მორწყვასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მოცულობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ.

V.

მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ

მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაშია მდიდარი ტექნიკა, ისინი განმტკიცდნენ ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით, შეიქმნა მტს-ების მუშათა მუდმივი კადრები, კოლმეურნეობებში გაიგზავნა ბევრი აგრონომი და ზოოვეტმუშაკი; ყოველივე ამან დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებაში, სადგურებისა, რომლებიც გადამწყვეტი ძალა გახდნენ მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში. ამავე დროს ბევრი ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მეცხოველეობის განვითარების საქმეში ვერ ასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს, გულგრილად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებას.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო არ ითვალისწინებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გაზრდილ როლს, ჯეროვნად ვერ აფასებენ მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მნიშვნელობას, შეურიგდნენ ნაკლოვანებებს ამ საქმეში და არ იღებენ სათანადო ღონისძიებებს იმისათვის, რომ განახორციელონ საკვების წარმოებისა და შრომატევად სამუშაოთა სრული მექანიზაცია ფერმებში.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ჯეროვნად არ ჩაებნენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. საკვებმოვების მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები სრულებით არ არის მექანიზებული. სოფლის მეურნეობას დღემდე არა აქვს მაღალი წარმადობის მანქანები ნამჯისა და ბზის ასაღებად, თივის შესაგროვებელი მანქანები, მანქანები თივის დაწნეხვისა და დაწყობისათვის, მანქანები სასილოსე ტრანშეების მოწყობის, სასილოსე კოშკების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, ძირხვენების კვადრატულ-ბუდობრივი წესით სათესი და ასაღები მანქანები. სამუშაოთა მექანიზაციის დაწესებული გეგმები სისტემატურად ვერ სრულდება. მეცხოველეობის მექანიზაციის მეტად დაბალი დონის შედეგად მეცხოველეობის პროდუქტებით მტს-ების მუშაობის ნატურალური ანაზღაურების მოცულობა შეადგენს ამ პროდუქტების დამზადების საერთო მოცულობის უმნიშვნელო ხვედრით წონას.

საკვების წარმოებისა და დამზადების ჩამორჩენის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიზეზია მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების მელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციის არასაკმარისი დონე და არსებული ტექნიკის მეტად ცუდი გამოყენება მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო არასწორ ხაზს ატარებენ მეცხოველეობის მექანიზაციის საქმეში და წლობით ვერ წყვეტენ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხებს ამ საქმეში. ამ სამინისტროების მოუქნელობის შედეგად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს დღემდე არა აქვთ ისეთი მანქანების კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ძირითადი პროცესების მექანიზაციას მეცხოველეობის სხვადასხვა დარგში.

საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ასრულებს მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მანქანებისა და მექანიზმების წარმოების გეგმებს. აღარ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ამ სამინისტროს ხელმძღვანელთა ჩამორჩენილობის გამო ჩვენი ქვეყნის მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მთელ რიგ შემთხვევებში იძულებული არიან ისარგებლონ მოძველებული, ნაკლები წარმადობის მანქანებით.

თანამედროვე პირობებში, როცა პარტია უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს მეცხოველეობის მკვეთრ აღმავლობას ჩვენს ქვეყანაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი და პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დარგის განვითარებაში განუზომლად უნდა გაიზარდოს.

საჭიროა მივიღოთ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ მკვეთრად შევამციროთ შრომისა და სახსრების დანა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაზრდის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

მიღებული 1955 წლის 31 იანვარს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

(გაგრძელება)

ხარჯი პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე მეცხოველეობაში და მივაღწიოთ იმას, რომ მექანიზაციის საფუძველზე შრომისა და სახსრების ნაკლები რაოდენობით დაბანდების პირობებში მივიღოთ მაქსიმალური სამეურნეო ეფექტი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართო მექანიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს გავაადვილოთ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომა, გავადიდოთ მისი ნაყოფიერება და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება. ამასთან ერთად ეს საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკეთ მოაწყონ იმ ადამიანთა მუშაობა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახლა ეწევა ნაკლებადნაყოფიერ ხელით შრომას, დანერგონ წარმოების მოწინავე ტექნოლოგია. შრომის ფართო მექანიზაციისა და მისი ორგანიზაციის გაუმჯობესების დროს შემცირდება შრომისა და სახსრების ხარჯი პროდუქციის ერთეულზე, გადიდდება შრომის საზღაური და, მაშასადამე, შემდგომ გაუმჯობესდება სოფლის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოებს მიაღწიონ იმას, რომ უახლოეს დროში მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ისევე როგორც მემინდვრეობაში, გადამწყვეტი ძალა გახდნენ ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებაში, განახორციელონ საკვებმოპოვების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებშიც.

2. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს შეიმუშაონ და სამი თვის ვადაში შეიტანონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსახილველად მეცხოველეობისა და საკვებმოპოვების შრომატევადი პროცესების სამექანიზაციო მანქანებისა და მექანიზმების წარმოების გადიდების ღონისძიებანი. ღონისძიებათა შემუშავების დროს მხედველობაში იქონიონ, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონისათვის შეიქმნას კომპლექსი მანქანებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ საკვების წარმოების, დასილოსების, წყალმომარაგებისა და საკვების მომზადების და შრომატევადი პროცესების ელექტრიფიკაციის სამუშაოთა მექანიზაციას ფერმებში.

3. დაწესდეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკვებმოპოვებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამუშაოებთან ერთად ვალდებული არიან კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით თავიანთი მუდმივი მუშათა ძალებით განახორციელონ ფერმებში დადგმული მექანიზმებისა და მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.

ფართოდ გამოყენებულ იქნას იმ სამრეწველო საწარმოთა დახმარება, რომლებიც შეფობას უწევენ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამუშაოებში. გაფრთხილებულ იქნან კოლმეურნეობების შეფ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომ კოლმეურნეობებში მშენებლობისა და მექანიზაციის სამუშაოები უნდა სრულდებოდეს სახელშეკრულებო საწყისებზე და რომ სავალდებულოა კოლმეურნეობებმა აანაზღაურონ მთელი ხარჯები, რაც გასწიეს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა. დაგმობილ იქნას, როგორც სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო, პრაქტიკა საშეფო კოლმეურნეობათათვის უსასყიდლო დახმარებისა, რადგან ეს იწვევს სახალხო სახსრების უკანონო ხარჯვას და ვერ უწყობს ხელს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი ღონისძიებათა სისტემა, რომ კოლმეურნეობებს დახმარება გაუწიონ მტს-ებმა მეცხოველეობის ფერმებში მანქანებისა და მექანიზმების დადგმასა და ექსპლოატაციაში.

4. იმ მიზნით, რომ შეიქმნას ხელშემწყობი პირობები, რათა კოლმეურნეობებმა ანგარიში გაუსწორონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დარგში მუშაობისათვის, ფერმებში დადგმული მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთებისათვის, ცნობილ იქნას მიზანშეწონილად ფულად საზღაურთან ერთად შემოიღონ ამ სამუშაოთა ნატურალური ანაზღაურება. უფლება მიეცეს კოლმეურნეობებს მტს-იბთან ხელშეკრულებათა დადების დროს თვითონ გადაწყვიტონ საკითხი, თუ რა ფორმით (ნატურითა თუ ფულით) უნდა გაუსწორონ ანგარიში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს შესრულებული მუშაობისათვის.

5. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყონ მეცხოველეობის ფერმების სამონტაჟო, ელექტროსამონტაჟო და საწყალსადენო სამუშაოთა შესრულების სწავლება ტრაქტორისტებისა და კომბაინერებისათვის. უზრუნველყონ საკვების მომზადებისა და მეცხოველეობის სხვა მანქანების, მექანიზმებისა და ორთქლძალოვანი დანადგარების შეკეთება. ტრაქტორისტებისა და კომბაინერების სწავლებასთან ერთად მოაწყონ კოლმეურნე მექანიკოსების მომზადება იმ მანქანების ექსპლოატაციისათვის, რომლებსაც მეცხოველეობაში იყენებენ.

6. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ 1955-1960 წლების განმავლობაში მეცხოველეობის ფერმების ელექტროფიკაციის სამუშაოთა მნიშვნელოვანი გაფართოება.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან და ცენტროსოიუზთან ერთად სამი თვის ვადაში შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტრომასალებით, ტრანსფორმატორებით, ელექტრომოტორებით, ასამუშავებელი აპარატურით, გადამცემი ხაზების საყრდენებით უზრუნველყოფის შესახებ და მოძრავი ელექტროსადგურების წარმოების და სოფლის მეურნეობისათვის მათი მიწოდების გადიდების შესახებ.

VI.

კოლმეურნეობებში მეცხოველეობის სადგომთა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის შესახებ

მეცხოველეობის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა პირუტყვის უზრუნველყოფა სადგომებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ზოოვეტერინარიის მოთხოვნებს და მეურნეობის კულტურული წარმოების პირობებს. მეცხოველეობის კარგი სადგომების ნაკლებობა დიდ ზიანს აყენებს კოლმეურნეობებს, ამცირებს მეცხოველეობის პროდუქტიულობასა და ზრდის პირუტყვის, განსაკუთრებით მოზარდეულის სიკვდილიანობას. ამჟამად კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ახალი სადგომების მშენებლობის დონე არ შეესაბამება საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ამოცანას, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

ზოგიერთ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში დაშვებულია მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობის ტემპის მკვეთრად შენელება. კოლმეურნეობათა მნიშვნელოვან ნაწილში შექმნილი არ არის მუდმივი სამშენებლო ბრიგადები. განსაკუთრებით ცუდად წარმოებს მშენებლობა აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, მოლოტოვის, პენზის, ჩკალოვისა და ზოგიერთი სხვა ოლქის კოლმეურნეობებში. ბევრ კოლმეურნეობაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი სასილოსე ნაგებობების — კოშკებისა და მოპირკეთებული თხრილების მშენებლობა, რის შედეგად ნაკლები რაოდენობით ხდება სილოსის ჩადება და უარესდება მისი ხარისხი. სრულიად არასაკმაო ოდენობით არის მოწყობილი სასილოსე კოშკების წარმოება სატყეო მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში.

მეცხოველეობის სადგომთა ბევრი ტიპური პროექტი, რომლებიც ამჟამად რეკომენდებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეობებს. როგორც წესი, ტიპურ პროექტებში გათვალისწინებული არ არის იაფი ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენება, არამედ გათვალისწინებულია დიდძალი ხე-ტყის მასალის გამოყენება, რაც აგვიანებს და აძვირებს მშენებლობას.

იმის შედეგად, რომ პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მნიშვნელოვნად იზრდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. ამჟამად კოლმეურნეობებს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, აქვთ შესაძლებლობა გამოჰყონ სახსრები თავიანთი წარმოების გასაფართოებლად, კერძოდ მშენებლობისათვის. მეტწილ კოლმეურნეობებში საკმაო რაოდენობით ჰყავთ მუშახელი იმისათვის, რომ მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში სამუშაოთა შესრულებასთან ერთად აწარმოონ საჭირო მშენებლობა. კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდებანი უწინარეს ყოვლისა უნდა ხმარდებოდეს იმას, რომ აამაღლონ კოლმეურნეობათა მეურნეობა, მაღალშემოსავლიანი გახადონ იგი. მაშასადამე, პირველ რიგში საჭიროა წარმოებდეს საწარმოო სადგომების მშენებლობა. კოლმეურნეობებში, რომლებსაც საკმაო სახსრები მოეპოვებათ, საჭიროა აგრეთვე გაჩაღდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობა, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელია, დახმარება გაეწიოს კოლმეურნეებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

ამავე დროს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი აყენებს საკითხს სასოფლო მშენებლობისადმი სახელმწიფო დახმარების შესახებ, ამასთან არ იღებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ მშენებლობის გასაჩაღებლად სწორად გამოიყენოს სახსრები და კოლმეურნეობებში არსებული მუშახელი შრომის უკეთესი ორგანიზაციით და მისი ნაყოფიერების გადიდებით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალიან ცუდად იყენებენ მშენებლობისათვის ისეთ საშენ მასალებს, როგორიც არის ლელი, ნიჟარაქვა, კირქვა და სხვ., რომლებიც დიდი რაოდენობით მოიპოვება. ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებისადმი ასეთი უყაირათო დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიიღონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში მშენებლობის გასაფართოებლად და გასუმჯობესებლად, ამასთან მთავარი ყურადღება მიაქციონ საწარმოო და განსაკუთრებით მეცხოველეობის სადგომთა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას. უკეთ გამოიყენონ კოლმეურნეობათა ძალები და სახსრები.

დაევალოს კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოებს მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებში 1955-1960 წლებისათვის გაითვალისწინონ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი პირუტყვის დაბინავებას, და საჭირო სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა.

2. დაევალოს სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში ადგილობრივი საშენი მასალების: კრამიტის, აგურის, კირის, ყორექვის, სახურავი ტკეჩის, ალიზის, ლელის ფილებისა და სხვა მასალების წარმოების გაფართოება, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობისას გამოიყენონ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები.

3. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს შექმნან მუდმივი სამშენებლო ბრიგადები, დააკომპლექტონ ისინი გამოცდილი ბრიგადირებით, მოაწყონ ბრიგადების წევრებისათვის სამშენებლო სპეციალობათა სწავლება; უზრუნველყონ ეს ბრიგადები საჭირო მოწყობილობით, ინვენტარით, სამარჯვებითა და ინსტრუმენტით. იქ, სადაც მშენებლობისა და ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების დიდი მოცულობაა, საპაიო საწყისებზე შექმნან საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები და აგურის, ცემენტ-ქვიშის ბლოკების, კრამიტის საწარმოები, საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა დიდ ნაგებობათა მშენებლობის ორგანიზაციები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა სახელშეკრულებო საწყისებზე შესაბამისი ანაზღაურებით დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს მშენებლობაში, ხე-ტყის დახერხვაში, საშენ მასალათა მიზიდვაში, დაგეგმვის სამუშაოთა წარმოებაში, ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ მინდვრის სამუშაოთა შესრულებას და საკუთარ მშენებლობას. ამასთან დაკავშირებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მოეწყოს მექანიზატორებისათვის სამშენებლო პროფესიების სწავლება.

4. დაევალოს სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გააძლიეროს კოლმეურნეობებისადმი დახმარება მშენებლობის ორგანიზაციაში, ადგილობრივ საშენ მასალათა, ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოებაში, ხე-ტყის დამზადების ორგანიზაციაში, მშენებელთა კადრების მომზადებასა და სამშენებლო ბრიგადების შექმნაში.

საჭიროა კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სამშენებლო ბრიგადების ათისთავთა და ბრიგადირთა მოსამზადებელი სკოლებისა და კურსების ქსელი, მოეწყოს კოლმეურნეებისათვის სამშენებლო სპეციალობებისა და ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების სწავლება.

სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სამი თვის ვადაში გადასინჯონ მეცხოველეობის სადგომების ტიპური პროექტები, რომლებიც რეკომენდებულია კოლმეურნეობებისათვის, და შექმნან ისეთი პროექტები, რომლებიც საშუალებას მისცემენ კოლმეურნეობებს ადგილობრივი პირობებისა და ადგილობრივ საშენ მასალათა გათვალისწინებით აირჩიონ თავისთვის ყველაზე შესაფერი პროექტები.

5. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს დროზე შეასრულოს გეგმით გათვალისწინებული იმ ხე-ტყის მიწოდება ცენტროსოიუზისათვის, რომელიც უნდა მიეყიდოს კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის საწარმოებლად.

VII.

საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ

საბჭოთა მეურნეობებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ბევრი მათგანი ნამდვილად მოწინავე სოციალისტური საწარმოა. მათ მოეპოვებათ მიწის უმდიდრესი სავარგულები, აღჭურვილი არიან მოწინავე ტექნიკით, ჰყავთ კვალიფიციური კადრები. ამოცანა ის არის, რომ სწორად გამოიყენონ ყველა ეს შესაძლებლობა საბჭოთა მეურნეობების წარმოების მძლავრი აღმავლობისათვის სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ საბჭოთა მეურნეობების მუშაობის დონე ამჟამად არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების საქმეში დიდი ნაკლოვანებებია. საბჭოთა მეურნეობებმა 1954 წელს ვერ უზრუნველყვეს პირუტყვისა და განსაკუთრებით ძროხის სულადობის ზრდის გეგმების შესრულება, დაუშვეს პირუტყვის დიდი დანაკარგი და დედა პირუტყვის დიდი ბერწიანობა. ძროხების ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში გასულ წელს საბჭოთა მეურნეობებში უმნიშვნელოდ გადიდდა.

სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულების მხრივ. თითო ძროხის წველადობა გასულ წელს გადიდდა მხოლოდ 12 კილოგრამით გეგმით გათვალისწინებული 220 კილოგრამის ნაცვლად, ხოლო გასასუქებელი ღორების წონის მატება და ცხვრის ნაპარსი ბევრი ოლქის საბჭოთა მეურნეობებში კიდევაც შემცირდა 1953 წელთან შედარებით, რის შედეგად სახელმწიფოსათვის რძის, ღორის ხორცისა და მატყლის ჩაბარების გეგმები არ შესრულდა, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება მაღალი რჩება.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში კვლავ დაბალია და 1954 წელს შეადგენდა: ხორცისა მხოლოდ 7 ცენტნერს, რძისა 35 ცენტნერს და მატყლისა 50 კილოგრამს. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე ყაზახეთის სსრ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, ძალიან ნელა მატულობს სულადობა, დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა და საბჭოთა მეურნეობები ძალიან ცოტა ხორცს, რძესა და მატყლს აბარებენ სახელმწიფოს. დიდი ნაკლოვანებებია მეცხოველეობაში აგრეთვე კრასნოიარსკის, სტავროპოლის მხარეების, როსტოვისა და ჩიტის ოლქების საბჭოთა მეურნეობებში, სადაც 1954 წელს პირუტყვის სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად გადიდდა, ხოლო მისი პროდუქტიულობა მკვეთრად შემცირდა.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ არ შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების მითითებანი თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესახებ. 1954 წელს დაამზადეს გაცილებით უფრო ნაკლები უხეში საკვები, ვიდრე 1953 წელს, ხოლო სილოსის დამზადების დავალება შესრულდა მხოლოდ 70 პროცენტით, რამაც პირუტყვის სულადობის საერთო ზრდის დროს შეამცირა მისი უზრუნველყოფა საკვებით. იმის შედეგად, რომ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელობა უპასუხისმგებლოდ მიუდგა ისეთი ძვირფასი საკვები კულტურის გამოყენებას, როგორიც სიმინდია, ხელიდან გაუშვეს საბჭოთა მეურნეობებში საკვები ბაზის განმტკიცების, პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობა.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ აგრეთვე არ შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი საბჭოთა მეურნეობებში და განსაკუთრებით ცხენსაშენებში მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ. 1954 წელს სრულიად არ მოუხნავთ ყამირი მიწები 45 ცხენსაშენისა, რომლებსაც მიწის დიდი სავარგულები აქვთ. ბევრ ცხენსაშენს სამინისტრომ ყამირი მიწების მოხვნის შემცირებული გეგმები დაუწესა; ადგილობრივ მუშაკთა ინიციატივით ეს დავალებანი შესრულდა რამდენჯერმე გადაჭარბებით. ეს ცხადყოფს, რომ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელები პრაქტიკულად ახორციელებენ ხაზს, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის მითითებებს საბჭოთა მეურნეობების მიწების სწორი გამოყენების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების შესახებ სახელმწიფო დავალებათა შეუსრულებლობა, დიდი დანაკარგი მეცხოველეობაში, საკვების დამზადებისადმი უდარდელი დამოკიდებულება იმის შედეგია, რომ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო კვლავ სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მეცხოველეობის განვითარების საქმეს და არ იყენებს საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობებს, არ იღებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ მობილიზებულ იქნას მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვები.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელებს არ შეუცვლიათ საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები და წინანდებურადვე ცვლიან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას სახსდომო ფუსფუსით და კანცელარიული მიწერმოწერით, არ იციან, რა მდგომარეობაა ბევრი ოლქისა და რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში, ცუდად იყენებენ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებას, არ ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის ცალკეული ზონების თავისებურებებს, სუსტად ავითარებენ საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ინიციატივას.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო შეურიგდა იმას, რომ მეცხოველეობა ბევრ საბჭოთა მეურნეობაში ჩამორჩენილია, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს საბჭოთა მეურნეობებისა და ტრესტების ხელმძღვანელებისადმი, რომელნიც ვერ ასრულებენ მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმებს, სამინისტროო ცუდად ახორციელებს კონტროლს ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი და არ იღებს საჭირო ღონისძიებებს საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების კვალიფიციური კადრებით განსამტკიცებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ მიწის სავარგულთა სრულად და რაციონალურად გამოყენება, საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრი შემცირება. გაადიდონ საბჭოთა მეურნეობებში 1960 წელს 1954 წელთან შედარებით ხორცის წარმოება სულ ცოტა 1,8-ჯერ, რძისა — 2,8-ჯერ, მატყლისა — 2,2-ჯერ, კვერცხისა — 4-ჯერ.

2. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებში 1955-1960 წლებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის მიწის 100 ჰექტარ სავარგულებზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის თავისებურებათა გათვალისწინებით. საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად ღონისძიებათა შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეოორეობისა და მეთრინველეობის განვითარებას ყველა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში, მათ შორის ყამირი მიწების ახალ საბჭოთა მეურნეობებში.

3. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უზრუნველყოს პირუტყვის რძის პროდუქტიულობის გადიდება. განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა მოეწყოს პირუტყვის საძოვარზე გასუქება და ბაგური გასუქება და, როგორც წესი, სახელმწიფოს ბარდებოდეს მსუქანი და საშუალოზე მეტი სიმსუქნის სახორცე პირუტყვი. მოეწყოს სპეციალიზებული ფერმები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ზრდის დასამთავრებლად და საძოვარზე გასასუქებლად, აგრეთვე გასასუქებელი პუნქტები კვების მრეწველობის საწარმოთა გარშემო მდებარე საბჭოთა მეურნეობებში, რათა სრულად გამოყენებულ იქნას ხორცდო, თხლე, ღღლაბი, ლუდის ნალექი და სხვა ნარჩენები.

4. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უზრუნველყოს საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის სულადობა საკუთარი წარმოების საკვებით, რისთვისაც ფართოდ აწარმოოს საბჭოთა მეურნეობებში საკვები კულტურების თესვა, რომლებიც მოცემულ ბუნებრივ და სამეურნეო პირობებში ჰექტარზე იძლევა უხვ მოსავალს და ყველაზე მეტ მასაზრდოებელ ნივთიერებას. ამ მიზნით მნიშვნელოვნად გააფართოოს სიმინდის ნათესები ჩვენი ქვეყნის ყველა ზონის საბჭოთა მეურნეობებში, მკვეთრად გაადიდოს სიმინდისა და სხვა მარცვლასაფურაჟე კულტურების მოსავლიანობა, გაადიდოს მათი საერთო მოსავალი; გააფართოოს კარტოფილის ნათესები პირუტყვის საკვებად, განსაკუთრებით ცენტრის რაიონების, არაშავნიადაგიანი ზოლის, ურალისა და დასავლეთ ციმბირის საბჭოთა მეურნეობებში, სუდანურისა და სხვა ერთწლიანი ბალახების ნათესები სათივედ და მწვანე საკვებად, შემოიღოს ჭვავის თესვა ადრიან გაზაფხულზე კვებისათვის.

5. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს განახორციელოს დაუყოვნებლივი ღონისძიებანი, რათა საბჭოთა მეურნეობებში პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის მთელი სულადობა უზრუნველყოფილ იქნას კეთილმოწყობილი კაპიტალური სადგომებით, და შეამციროს მშენებლობის ღირებულება. ფართოდ გამოიყენოს მშენებლობაში ადგილობრივი საშენი მასალები, აგრეთვე გამოიყენოს ასაწყობი რკინაბეტონის დეტალები და სტანდარტული ნაწარმი.

უზრუნველყოს მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება და განახორციელოს საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაცია უმთავრესად სახელმწიფო, სამრეწველო და კომუნალურ ელექტროსადგურთა ელექტროქსელებთან შეერთების გზით.

6. საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მიწის სავარგულების უკეთ გამოყენება, ყოველ ას ჰექტარ მიწაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოსავლიანობის მკვეთრად გადიდება, პროდუქციის ერთეულზე სახსრებისა და შრომის ხარჯვის შემცირება. საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც სახელმწიფო საწარმოებს წარმოადგენენ, ისევე როგორც მრეწველობაში, ყველა შესაძლებლობა მოიპოვება, რათა სანიმუშოდ მოეწყოს წარმოება ტექნიკის სწორი გამოყენებით და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საფუძველზე. ეს საშუალებას აძლევს საბჭოთა მეურნეობებს სისტემატურად გაადიდონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და შეამცირონ მისი თვითღირებულება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები უკანაკნელ ხანამდე ნაკლებად აქცევენ ყურადღებას საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, და ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციისაგან მოითხოვს გააუმჯობესონ საბჭოთა მეურნეობების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულონ სახელმწიფო გეგმები.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

მიღებული 1955 წლის 31 იანვარს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

VIII.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელების, აგრეთვე სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების, დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდების შედეგად, რაც მოხდა 1953 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რითაც შესაძლებელი გახდა 1954 წელს მეტი ხორცი და რძე ყოფილიყო დამზადებული და შესყიდული, ვიდრე 1953 წელს.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების მეთხებით მიღწეულია სახალხო მოხმარების დონის შემდგომი ამაღლება. მოსახლეობისათვის ხორცის მიყიდვა 1954 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 2,8-ჯერ, ერბო-კარაქისა — 2,6-ჯერ, კვერცხისა — 1,4-ჯერ, შალის ქსოვილებისა — თითქმის სამჯერ.

პროდუქტებით მოსახლეობის ცენტრალიზებული მომარაგების სისტემამ, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, ეაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. სოციალისტური წყობილების პირობებში ცენტრალიზაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს აქტიურად მოახდინოს ზემოქმედება პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე, გასწიოს სურსათისა და ნედლეულის რესურსებით მანევრირება ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

მაგრამ ცენტრალიზებული მომარაგების პრაქტიკაში დაშვებულია დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საქმეს. დღემდე ცენტრალიზებული მომარაგება ხორციელდება მიუხედავად იმისა, თუ როგორია პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დონე ამა თუ იმ რესპუბლიკაში, ხორციელდება იმისა გაუთვალისწინებლად, თუ როგორ იყენებენ არსებულ საწარმოო შესაძლებლობებს. ასეთი პრაქტიკა ნამდვილად ნიშნავს გათანაბრებას პროდუქტების განაწილებაში, რაც ეწინააღმდეგება სოციალიზმის პრინციპებს. იგი არ უწყობს ხელს ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის განვითარებას და ამ ორგანოების ყურადღებას მიმართავს არა წარმოებისა და დამზადების გადიდებისაკენ, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქტების გადანაწილებისაკენ.

განაწილების სისტემის ნაკლოვანებანი იმას იწვევენ, რომ რაიონები, ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებიც კარგად იყენებენ ადგილობრივ საწარმოო შესაძლებლობებს და ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს პროდუქტების დამზადებაში, ზოგჯერ ნაკლებ პროდუქციას იღებენ ცენტრალიზებული ფონდიდან, ვიდრე ის რაიონები, ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებიც ცუდად იყენებენ ადგილობრივ რესურსებს, ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე.

მომარაგების არსებული სისტემა ამცირებს ადგილობრივ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას არა მარტო წარმოებისათვის, არამედ მოსახლეობის მომარაგებისთვისაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ცენტრალიზებული მომარაგების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებას და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას იმისათვის, რომ არსებული შესაძლებლობანი მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

ამის მიხედვით შეტანილ უნდა იქნას ცვლილებანი რაიონებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში სავაჭროდ პროდუქტების განაწილების არსებულ სისტემაში, რათა ამ სისტემაში სწორად იყოს შეხამებული ცენტრალიზაციის პრინციპები და ადგილობრივი ინიციატივის განვითარება მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად არსებული რესურსების გამოყენებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისა და პირუტყვის სულადობის ზრდის საფუძველზე 1960 წელს 1954 წელთან შედარებით გადიდდეს ხორცის დამზადებისა და შესყიდვის მოცულობა სულ ცოტა 1,6-ჯერ, ხოლო ღორის ხორცისა—სულ ცოტა 2,8-ჯერ, რძისა და რძის პროდუქტებისა—სულ ცოტა 1,8-ჯერ, კვერცხისა—3-ჯერ და უფრო მეტად და მატყლისა—ორჯერ.

ამის შესაბამისად დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შემუშავების დროს გაითვალისწინონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გადიდება იმ ოდენობამდე, რაც უზრუნველყოფს ამ დადგენილებით დაწესებულ დავალებათა შესრულებას. სავალდებულო ჩაბარებით მიღებული პროდუქტების რაოდენობის გაანგარიშება უნდა წარმოებდეს ჰექტარობრივი პრინციპის საფუძველზე დაწესებული მუდმივი ნორმების ზუსტი შესაბამისობით, ნატურანაზღაურებისა დაწესებული განაკვეთების შესაბამისად, ხოლო სახელმწიფო შესყიდვით დასამზადებელი პროდუქტების რაოდენობა მძიმე ტვირთად არ უნდა აწვებოდეს კოლმეურნეობებს და არ უნდა აფერხებდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. ამასთან საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომ შევასრულოთ დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმები და დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი.

2. იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნას ადგილობრივი ორგანოების ინიციატივა და გადიდდეს მათი პასუხისმგებლობა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში და ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებაში, საჭიროდ ჩაითვალოს მომარაგების ორგანიზაციაში ცენტრალიზაციის შენარჩუნებასთან ერთად, მიენიჭოთ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს უფრო ფართო უფლებები ამ საქმეში.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად 1955 წლის 1 ივლისისათვის წარადგინონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად წინადადებანი მომარაგების წესის შეცვლის შესახებ.

3. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სერიოზულად გაუმჯობესდეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პრაქტიკა, აღიკვეთოს ჰექტარობრივი პრინციპის დარღვევა. აღინიშნოს, რომ დამზადების სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აგრეთვე ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის დროს 1954 წელს დაუშვეს შეცდომები, რაც იმით გამოიხატა, რომ მოწინავე კოლმეურნეობებსა და რაიონებს ნებისმიერად უწესებდნენ შესყიდვის უფრო მაღალ დავალებებს, ვიდრე სხვა კოლმეურნეობებსა და რაიონებს. საჭიროა, რომ მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების, გარდა მატყლისა და ტყავნედლეულისა, შესყიდვის გეგმა რაიონის კოლმეურნეობებს ეძლეოდეს დაახლოებით ერთნაირი პროპორციით სავალდებულო ჩაბარების გეგმისადმი.

4. დაევალოს დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, რომლებიც დამზადებაზე მუშაობენ, ორი თვის ვადაში წარადგინონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გაუმჯობესებისა და დამამზადებელი ორგანოების სტრუქტურის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღონ, რომ მოისპოს დამამზადებელი ორგანიზაციების სიმრავლე და მკვეთრად შემცირდეს გაბერილი უამამზადებელი აპარატი.

5. არასწორად ჩაითვალოს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო აწესებდნენ სათეს ფართობებსა და მოსავლიანობას, პირუტყვის სულადობასა და მის პროდუქტიულობას ისე, რომ არ ითვალისწინებდნენ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას სურსათზე და მრეწველობის მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე, რაც იწვევდა იმას, რომ წარმოების ეს გეგმები არ შეესაბამებოდა მთლიანად ჩვენი ქვეყნისა და მისი ცალკეული რაიონების მოთხოვნილებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ უნდა დაგეგმონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება იმ ამოცანების საფუძველზე, რომ სრულად დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნისა და მისი ცალკეული ეკონომიური რაიონების მოთხოვნილება სურსათსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე, და პასუხი აგონ ამისათვის სახელმწიფოს წინაშე. ამასთან საჭიროა გამოვავლინოთ ცალკეული რაიონების შესაძლებლობანი, განვავითაროთ ადგილების ინიციატივა, რომ ეს შესაძლებლობანი გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გასადიდებლად.

IX.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ განვლილ წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ დაეცვათ მასები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესასრულებლად. ხელმძღვანელობის დაახლოება სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სპეციალისტთა აქტივობის გადიდება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი შესაძლებლობანი და რეზერვები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობისათვის. ამ რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში და ქვემოდან ინიციატივის განვითარებაში დადებით როლს ასრულებენ ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის შექმნა ინსტრუქტორთა ჯგუფებისა მტს-ების ზონების მიხედვით პარტიის რაიკომების მდივნების მეთაურობით, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების გაუქმება და სპეციალისტების მტს-ებში გაგზავნა კოლმეურნეობებში სამუშაოდ, კოლმეურნეობებისა და მტს-ების განმტკიცება უფრო კვალიფიციური კადრებით, მოწინავე გამოცდილების და მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისა და დანერგვის საქმის გაუმჯობესება, სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქების პარტიული ორგანიზაციების დახმარება სასოფლო რაიონების პარტორგანიზაციებისათვის.

ამასთან ერთად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ბევრი საოლქო, სამხარეო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები სუსტად ეწევიან თავიანთი მუშაობის გარდაქმნას ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი არ იღებს ჯეროვან ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გასადიდებლად, უპასუხისმგებლობას იჩენს, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზატორულ მუშაობას ცვლის ზოგადი დეკლარაციებითა და მოწოდებებით. მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში მეცხოველეობის განვითარების ხელმძღვანელობა ხორციელდება ზერელედ, საქმის ღრმა ცოდნის უქონლად. პარტიის ბევრი რაიკომი კვლავ ძველებურად მუშაობს, პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და განსაკუთრებით სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო მეტად ნელა ეწევიან თავიანთი მუშაობის გარდაქმნას, დღემდე თავი ვერ დააღწიეს პარტიის მიერ დაგმობილ შაბლონურ მიდგომას მეცხოველეობის განვითარების ხელმძღვანელობისადმი, არ სწავლობენ და არ ითვალისწინებენ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების ბუნებრივ და ეკონომიურ პირობებსა და თავისებურებებს. კვლავ ხელმძღვანელობენ კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებით. სასოფლო-სამეურნეო სამინისტროების სტრუქტურა კვლავ მოუქნელია, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისა და ძირითადი კულტურების მოყვანის ხელმძღვანელობა გაუპიროვნებულია, დაქსაქსულია სხვადასხვა სამმართველოებსა და განყოფილებებში. ამის შედეგად სუსტად წარმოებს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და თვით სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების შესწავლა.

პლენუმს მიაჩნია, რომ აღარ შეიძლება შეეურიგდეთ იმ არასწორ პრაქტიკას, როცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო ზერელედ და არაკონკრეტულად ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეს. თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობის დონეზე, მათს უნარზე, თუ როგორ გამოავლინებენ და გამოიყენებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებულ უდიდეს შინაგან რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმოებს არადამაკმაყოფილებლად, იგი განსაკუთრებით ჩამორჩენილია სამომთაბარო მეცხოველეობის რაიონებში. კოლმეურნეებს და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს შორის საკმაოდ არ არის განვითარებული სოციალისტური შეჯიბრება იმ ამოცანების უკეთ და უსწრაფესად შესრულებისათვის, რომლებიც დასახეს პარტიამ და მთავრობამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის დარგში. ბევრი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო ძალიან სუსტად აწყობს მუშაობას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მოწინავე მეცხოველეების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების გამოცდილების, აგრეთვე აგროზოოტექნიკური მეცნიერების მიღწევების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვისათვის, ცენტრალური და ადგილობრივი გამომცემლობები ცოტას უშვებენ პლაკატებს, ფურცლებს, ბროშურებსა და წიგნებს მეცხოველეობის საკითხებზე. გაზეთებსა და ჟურნალებში სუსტად ხდება მეცხოველეთა მოწინავე გამოცდილების განზოგადება, მკაცრად არ აკრიტიკებენ არსებულ ნაკლოვანებებს და ჩამორჩენას ამ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გადაჭრით მოუღონ ბოლო მეცხოველეობის შეუფასებლობას და ნამდვილად წარმართონ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება, ყველა კომუნისტის, კომკავშირელის, კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანების გადასაწყვეტად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა ეკუთვნოდეთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რომლებიც დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. დაწესდეს, რომ მტს-ებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობების მიერ მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლისა და მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების გეგმების შესრულებისათვის.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ დასახული ამოცანების შესრულებისათვის საჭიროა მნიშვნელოვნად ამაღლდეს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე და ეს ხელმძღვანელობა უფრო კვალიფიციური, კონკრეტული და ოპერატიული გახდეს. იმისათვის, რომ გამოავლინონ და უფრო სრულად გამოიყენონ ადგილობრივი რეზერვები, დროზე დაუჭირონ მხარი და წარმოებაში დანერგონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაკები თვითონ უნდა იყვნენ კარგად მომზადებულნი, დეტალურად იცნობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, კონკრეტულად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ამ მიზნით საჭიროა, რომ ხელმძღვანელი კადრები სისტემატურად და გულმოდგინედ იმაღლებდნენ თავიანთ თეორიულ დონეს, სწავლობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკასა და ეკონომიკას, იყვნენ ყოველივე ახლის, მოწინავის კურსში, სწავლობდნენ თავიანთი რაიონების ბუნებრივ და ეკონომიურ თავისებურებებს, ცალკეულ კულტურებს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგებს. მხოლოდ ამ პირობებში ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაკები ნამდვილად გახდებიან კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა წინამძღოლები და ორგანიზატორები.

3. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და განსახილველად წარმოუდგინონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ სამინისტროებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების აპარატების სტრუქტურის გაუმჯობესების შესახებ. ახალ სტრუქტურაში გაითვალისწინონ სამმართველო აპარატის მნიშვნელოვანი შემცირება, მისი განმტკიცება გამოცდილი, მაღალკვალიფიციური კადრებით, გაითვალისწინონ ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების როლისა და პასუხისმგებლობის გადიდება მემინდვრეობისა და მეცხოველეობის ძირითადი დარგების შესწავლისა და განვითარებისათვის, რათა ცალკეული ეკონომიური რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მაქსიმალური გადიდება.

4. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მეცხოველეობის განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში წარმოადგენს მუშაობა მეცხოველეობის ყველა უბნის ისეთი კვალიფიციური კადრებით განსამტკიცებლად, რომლებსაც უნარი შესწევთ განახორციელონ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის აღმავლობისათვის.

ამ მიზნით საჭიროა:

ა) განმტკიცდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების გამგეთა შემადგენლობა, რისთვისაც ამ სამუშაოზე გაიგზავნონ კარგი ორგანიზატორები კომუნისტთა და კომკავშირელთაგან, მეცხოველეობის ნოვატორთა და სპეციალისტთაგან;

ბ) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაამოწმონ კომუნისტებისა და კომკავშირელების განაწილება წარმოებაში იმ მიზნით, რომ საქმით უზრუნველყონ მათი წამყვანი როლი მეცხოველეობის განვითარებაში;

გ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უზრუნველყონ ზოოტექნიკოსთა და ვეტერინართა კადრების სწორად განაწილება რაიონების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით; აამაღლონ სპეციალისტების მაორგანიზებელი როლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობაში;

დ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ შეიმუშაონ და განსახილველად წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე და ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების შემდგომი გადიდებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების წახალისების უფრო ფართო შესაძლებლობათა შექმნა მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და პირუტყვის სულადობის გადიდების საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე ღონისძიებანი მეცხოველეობის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით სამომთაბარო საძოვრებზე.

5. აღნიშნავს რა მტს-ების ზონებში პარტიის რაიკომების მდივნების მეთაურობით ინსტრუქტორთა ჯგუფების დადებით როლს მტს-ებისა და კოლმეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს საოლქო, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს განაგრძონ მუშაობა მტს-ების ზონებში რაიკომების მდივნებისა და ინსტრუქტორების შემადგენლობის განსამტკიცებლად, გადააქციონ ეს ჯგუფები სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილად მებრძოლ ორგანიზატორებად.

6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს პარტიული ორგანიზაციების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უკეთ გაავრცელონ და დანერგონ საუკეთესო კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მიერ მეცხოველეობის განვითარებაში შეძენილი მოწინავე გამოცდილების მიღწევები და მეცნიერების ამ დარგის მიღწევები. უზრუნველყოფილ იქნას წიგნებისა და საცნობარო სახელმძღვანელოების მასობრივი გამოშვება ზოოტექნიის, საკვების წარმოებისა და მეცხოველეობის მექანიზაციის საკითხებზე, პოპულარული ბროშურების, პლაკატებისა და კინოფილმების გამოშვება მეცხოველეობის განვითარების მოწინავე მეთოდებზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. გაზეთებსა და ჟურნალებში ფართოდ შუქდებოდეს საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

7. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას სისტემატურად და მტკიცედ გაუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად. მასებში კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიო აგიტატორების ორგანიზატორულმა მუშაობამ უნდა გაუღვიძოს ადამიანებს მისწრაფება — იმუშაონ რაც შეიძლება უკეთ, განუთავსოს მათ შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, ხელი შეუწყოს შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, დასახული გეგმების შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას. საჭიროა ყურადღებითა და მზრუნველობით ვიპყრობოდეთ თვითეულ მშრომელს, დროზე ვუპერდეთ მხარს მის თაოსნობას, განვუმტკიცებდეთ მისთვის მინდობილი საქმის წარმატებით შესრულების რწმენას, ვახალისებდეთ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა იყოს მიზანსწრაფული, პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისაკენ მიმართული, კონკრეტული და ქმედითი, კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის, ბრიგადის, სოფლის მეურნეობის თვითეული მშრომელის ამოცანებთან განუყოფელად დაკავშირებული. უნდა დავნერგოთ შრომისადმი, თავისი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, ჩავუნერგოთ თვითეულ მუშაკს იმის შეგნება, რომ მისი შრომა ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და აყვავებისათვის დიადი საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნაწილია. პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება, რომ მასებს ყველაფერი შეუძლიათ, როცა მათ ყველაფერი იციან და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ.

* * *

კომუნისტურ პარტიას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარება და ამ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. მძლავრ მრეწველობასთან ერთად უნდა გვქონდეს დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეეძლება აწარმოოს იმდენი სურსათი და ნედლეული, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შეუფერხებლად მოვამარაგოთ მოსახლეობა სახალხო მოხმარების პროდუქტებით და მრეწველობა — ნედლეულით. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრივმა მეცხოველეობამ. კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და განმტკიცება ხელს შეუწყობს მთელი სოფლის მეურნეობის აღმავლობას, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სპეციალისტებს მთელი ძალონი მოახმარონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის დასახული პროგრამის წარმატებით შესრულებას, რათა ჩვენს ქვეყანას უახლოეს წლებში საკმაოდ ჰქონდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ჩვენი ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი უმოკლეს ვადაში წარმატებით გადაჭრიან ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

მეჯი ინიციატივა ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გაფართოებაში

თათბირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილებაში

ადგილობრივი საშენი მასალებისა და დეტალების წარმოების მაქსიმალური გაფართოება სამშენებლო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ძირეული საკითხია. მხოლოდ მასი გადაწყვეტით შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მშენებლობის დიდი პროგრამა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში არის შესაძლებლობა ზევრად გადიდდეს საკედლე მასალების გამოშვება კირის, ნიყარაქვის, ტუფისა და სხვა სახეობის ბუნებრივი ქვისაგან. თანამედროვე ტექნიკა საშუალებას იძლევა ყველგან მოიწყოს შემკვრელი მასალების გამოშვება და მათ საფუძველზე მოწესრიგდეს ბლოკების, შიფერის, კრამიტისა და სხვა მასალების დამზადება. ადგილობრივი ნედლეული კარგი ბაზაა ასაწყობი რკინაბეტონის დეტალების წარმოებისათვის პოლიგონის პირობებში.

ადგილებზე ფართოდ უნდა განვითარდეს საშენი მასალებისა და ნაკეთობათა გამოშვება ჩალისაგან, ხასდამუშავებელი წარმოების ნარჩენებისაგან, ლელისაგან, რაც თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში არის და ამასთან დიდი რაოდენობით, რომელიც საშუალებას იძლევა წელიწადში გამოუშვან მილიარდზე მეტი კვადრატული მეტრი ფილი და ტიხარი. ლელის ფილა — ძვირფასი მასალაა ერთსართულიანი სახლების ასაგებად, ფარეხების და სხვა სასოფლო-სამეურნეო შენობების ასაშენებლად.

უაღრესად სხვადასხვა საკედლე, სატიხრე, შემკვრელი მასალები შეიძლება დამზადდეს მრავალ რაიონში არსებული ბრძმედისა და ქვაბის წიდისაგან, რომლის მარაგი ათობით მილიონ ტონას უდრის.

მაგრამ ამ და ადგილობრივი საშენი მასალების გამოშვების გადიდების მრავალ სხვა შესაძლებლობას ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ. ნაცვლად იმისა, რომ ინიციატივა გამოიჩინონ, განავითარონ მათი წარმოება, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ხშირად ორიენტაციას იღებენ შეზიდულ მასალებზე. ეს ანელებს მშენებლობის ტემპს, აძიმებს მის ღარებულებას.

მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა თათბირი, რომელიც ამას წინათ გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილებაში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების მოადგილეებმა, საშენი მასალების მრეწველობის მინასტრებმა, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრებმა, მგეგმავი ორგანოების მუშაკებმა, სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა.

თათბირმა ცხადყო, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს საშენი მასალებისა და დეტალების წარმოებისზრდის უშრეტი წყაროები. იქ, სადაც ინიციატივას აჩენენ ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში, მასალების გამოშვება განუწყვეტლივ ფართოვდება. ბელორუსიის სსრ საშენი მასალების მრეწველობის მინისტრმა ამხ. **ისიდოროვმა** თათბირის მონაწილეებს უამბო, რომ რესპუბლიკაში ეწყობა დოლომიტის კირისაგან დოლომიტცემენტის, აგრეთვე ტორფის ნაცრისა და კირის და ცარცისა და კირის ნარევებისაგან ცემენტის გამოშვება. ახალ საწარმოებში დაიწყო რკინაბეტონის, თაბაშირბოჭკოს ნაკეთობის, ქაფსილიკატის ფილების, მინერალური ბამბის გამოშვება.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში ფართოვდება ფიქალის ნაცრის გამოყენების სამუშაოთა მასშტაბი, ფიქალის ნაცრისაგან შეიძლება დამზადდეს შემკვრელი მასალები, საკედლე ბლოკები, სატიხრე ფილები. როგორც ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ვენდელინმა** განაცხადა, წელს რესპუბლიკაში დაპროექტებული იქნება ფიქალის ნაცრისაგან შემკვრელი მასალების მწარმოებელი ქარხანა და მინერალური ბამბის ქარხანა.

ესტონეთის საცდელ სილიკატის ქარხანაში, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. **ხინტი**, მოწყობილია მასობრივი გამოშვება დიდი სიმკვიდრის სილიკალციტის ნაწარმებისა, რომლებიც ფართოდ გავრცელდა სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში და რომლებიც იხმარება რკინაბეტონის ნაწარმის ნაცვლად.

ბუნებრივი ქვის მოპოვების გაფართოების დიდ შესაძლებლობაზე ილაპარაკეს თათბირზე სომხეთის სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ამხ. **მიქაელიანმა** და მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **უსიკამ**.

მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკებში ჯერ კიდევ ნაკლებად იჩენენ ინიციატივას ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების გაშლაში. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. **იუდინმა** მოიყვანა ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ყოველწლიურად აღთვისებული რჩება იმ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც მთავრობა გამოჰყოფს რესპუბლიკებში საშენ მასალათა გამოშვების გასაფართოებლად. ამიერკავკასიისა და შუა აზიის მთელ რიგ რაიონებში არ დაუწყიათ ბუნებრივი ქვის დამუშავება. ძალიან ნელა იზრდება კირის წარმოება. ადგილებზე, არსებითად, ჯერ კიდევ არ დაუწყიათ საშენ მასალათა მასობრივი გამოშვება წიდისაგან.

თათბირის მონაწილეებმა სერიოზულად გააკრიტიკეს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა გააფართოოს ბუნებრივი ქვის ამოსაღები მანქანების გამოშვება, მით უფრო, რომ ამ სახეობის საკედლე მასალა აგურზე ერთიორად იაფია. საჭიროა აგრეთვე მანქანები, რომლებითაც შეიძლება გადიდებული, სამკვიდრის ქვის ამოღება.

თათბირზე გამოააშკარავეს აგრეთვე სხვა მიზეზები, რომლებიც აფერხებენ ადგილებზე საშენ მასალათა წარმოების სწრაფ ზრდას. ილაპარაკა რა უკრაინაში არსებული აგურის ქარხნების უწყებრივი დაქსაქსულობის უარყოფითს შედეგებზე, ქარხნებისა, რომლებსაც ხშირად იყენებენ არასრული სიმძლავრით, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ნეპოროჟნიმ** განაცხადა, რომ, თუ ამ საწარმოებს თავს მოვუყრით ერთ ხელში და ყველგან დავნერგავთ დუვანოვის მეთოდს, შეგვიძლია აგურის გამოშვება რესპუბლიკაში ერთიორად გავადიდოთო.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ზიადულაევმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკავშირო დაქვემდებარების აგურის ქარხნებს, რომლებიც რესპუბლიკაშია, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1955 წლისათვის დაუწესა შემცირებული საწარმოო გეგმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **მოროზოვმა** აღნიშნა ნაკლოვანებანი საშენ მასალათა ქარხნების, კერძოდ, რკინაბეტონის ნაწარმის საწარმოთა განლაგებაში, რაც იწვევს ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას.

თათბირმა ცხადყო, რომ ყოველ რესპუბლიკასა და ყოველ ოლქში არის ნედლეულის მრავალი წყარო, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ბაზა სხვადასხვა საკედლე შემკვრელი, სახურავი და სხვა საშენი მასალებისა და ნაწარმის მასობრივი წარმოებისათვის. ეს რესურსები მშენებლობას უნდა მოვახმაროთ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ამერიკელი იურისტი და ჟურნალისტი მარშალ მაკდაფი

1 თებერვალს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მოსკოვში მყოფი ამერიკელი იურისტი და ჟურნალისტი მარშალ მაკდაფი და საუბარი ჰქონდა მასთან.

(საკდესი).

უზრუნველყოთ ამერიკის ჯარების გაყვანა ჩინეთის კუნძულ ფაივანიდან!

სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს მიმართვა ნერუსადმი

დელი, 31 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ინდიან ექსპრესის“ ცნობით, სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნერუს, რომელიც ახლა ლონდონში იმყოფება, გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ინდოელი ხალხი აღშფოთებულია ამერიკის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებებით, რომ ჩინეთის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომური, წყალბადისა და სხვა ატომგულური იარაღი. საჭიროა გავაფრთხილოთ შეერთებული შტატების მთავრობა, რომ ინდოელი ხალხი გადაპრით გმობს ატომური ომის გაჩაღების გეგმებს.

სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭო პირობას აძლევს ნერუს, რომ ინდოეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა მხარს დაუჭერს ყოველ ნაბიჯს, რომლის გადადგმასაც შეძლებს ნერუ, რათა უზრუნველყოს ამერიკის ჯარების გაყვანა ჩინეთის ტერიტორია ტაივანიდან და ჩინეთის ტერიტორიული წყლებიდან.

„ხელები შორს ჩინეთისაგან!“

ინგლისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროტესტები

ლონდონი, 1 თებერვალი. (საკდესი). შოტლანდიის მაღაროელთა პროფკავშირის აღმასკომმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ამერიკის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას ტაივანიდან და მოუწოდებს ინგლისის მთავრობას „გაემიჯნოს ფორმოზის (ტაივანის. — რედ.) საკითხში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ძალის გამოყენების პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის მთავრობა ახორციელებს“.

რეზოლუციაში შემდეგ ნათქვამია: „ფორმოზა უდავოდ ეკუთვნის ჩინელ ხალხს ამ საქვეყნო გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებიც მიღებულია ომის დროს კაიროსა და პოტსდამში და რომლებშიც ამერიკა მონაწილეობდა“.

ბელფასტის აღმოსავლეთ რაიონში გამართული მასობრივი მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ განუცხადოს ამერიკის შეერთებულ შტატებს: „ხელები შორს ჩინეთისაგან!“.

ქალაქ ლესტერის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა პარლამენტის წევრს ლესტერის საარჩევნო ოლქისაგან გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს, რომ „პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სახელით გაკეთოს ნათელი განცხადება, რომ ინგლისი ემიჯნება ამერიკის მოქმედებას ფორმოზაზე“.

უნგრეთში აგროვებენ ხელმოწერას ვენის მიმართვაზე

ბუდაპეშტი, 31 იანვარი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებებს მხურვალედ დაუჭირა მხარი უნგრეთის მოსახლეობამ. უნგრეთში გაჩაღდა ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხებისადმი ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება. ხელმოწერის შეგროვებაში მონაწილეობენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა. ჰეევეშის ოლქში ორი დღის განმავლობაში შეგროვდა 10 ათასამდე ხელმოწერა. მატრა-ვიდეკის ელექტროცენტრალში ვენის მიმართვას ხელი მოაწერა 1.200 მუშამ და მოსამსახურემ. რუდაბანის შახტში (ზორშოდის ოლქი) მიმართვას პირველებმა მოაწერეს ხელი წარმოების მოწინავეებმა, მათს მაგალითს მიბაძა 1.100 მუშამ. ზორშოდის ოლქში პირველი ორი დღის განმავლობაში შეგროვებულია 50 ათასზე მეტი ხელმოწერა.

პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 31 იანვარი. (საკდესი). 2 და 3 თებერვალს პარლამენტში გაიმართება კამათი მთავრობის პოლიტიკის შესახებ ჩრდილოეთ აფრიკაში. ეს კამათი იმდენად სერიოზული გამოცდა იქნება მენდეს-ფრანსის მთავრობისათვის, რომ პარიზის ბევრი გაზეთი აშკარად წერს მთავრობის კრიზისის შესაძლებლობაზე.

მთავრობის პოლიტიკას ჩრდილოეთ აფრიკაში გააკრიტიკებენ 16 ინტერპელაციის ავტორები. მათ შეუერთდებიან სხვა დეპუტატები, რომლებიც ემზადებიან საპარლამენტო დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად.

მომავალ კამათთან დაკავშირებული საფრთხე არ გამოპარვია თვით მთავრობის მეთაურს, რომელმაც თავის ტრადიციულ შაბათის სიტყვაში რადიოთი აღიარა, რომ „ჩრდილოეთ აფრიკის საკითხზე სხვადასხვა წრეში მღელვარება და შეშფოთებაა, რამაც საჭიროებინა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მთავრობის არსებობას“.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ალჟირის გენერალ-გუბერნატორად „სოციალური რესპუბლიკელის“ სუსტელის დანიშვნამ ვერ შეაღწია დაძაბულობა პარლამენტში. მენდეს-ფრანსის მთავრობას წინ ეღობება პოლიტიკური სიძნელენი, რომელთა მაჩვენებელია მენდეს-ფრანსის უარზრახვა კვლავ დაეყენოს ნდობის საკითხი, რათა გავლენა მოახდინოს მომავალი კამათის მიმდინარეობაზე.

მწვავე ბრძოლა ჩაღდება საპარლამენტო ჯგუფებს შორის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ბარანეეს 1951 წლის 28 სექტემბრის კანონის შესწორების განხილვა. ეს კანონი, რომელიც შეეხება კერძო სკოლებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების მიცემას, იყო საფრანგეთის რეაქციის პირველი სერიოზული იერიში საფრანგეთში სწავლების საერო ხასიათის წინააღმდეგ. კანონი ითვალისწინებს კერძო სკოლებისათვის სახელმწიფოო დახმარების მიცემას წელიწადში 3.900 ფრანკის რაოდენობით 6-14 წლის ასაკის თვითეულ მოსწავლეზე. შესწორების თანახმად, რომელიც შეიტანა „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის „დამოუკიდებელი რესპუბლიკელების“, „სოციალური რესპუბლიკელების“ და სხვ. დეპუტატთა ჯგუფმა, ბარანეეს კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს 6 წელზე ნაკლები და 14 წელზე მეტი ასაკის ბავშვებზე, რომლებიც კერძო საეკლესიო სკოლებში სწავლობენ.

ამ შესწორების გამო ეროვნულ კრებაში გაჩაღდა მწვავე ბრძოლა, რომელსაც მოჰყვა ოცი კენჭისყრა სხვადასხვა რეზოლუციისა და წინადადების გამო. შესწორება სახოლო ანგარიშით დაამტკიცეს 310 ხმით 265 ხმის წინააღმდეგ.

ბარანეეს კანონის შესწორებამ მწვავე ბრძოლა გამოიწვია თვით მთავრობაშიც. მაშინ როცა მთავრობის წევრები ბიენერი, ბურეესი, მონური, გალი-გასპარუ გამოვიდნენ შესწორების წინააღმდეგ, „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის წევრმა მინისტრებმა ბიუერმა, ჟიუგლასმა და მონტეილმა საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს. მენდეს-ფრანსმა დიდი გაჭირვებით მოახერხა მიეღოთ გადაწყვეტილება, რომ მთავრობის ყველა წევრი თავს შეიკავებს ამ საკითხისათვის კენჭისყრაში.

ზოგიერთი გაზეთის აზრით, ბარანეეს კანონის შესწორება გამოხატავდა ზოგიერთი მემარჯვენე დაჯგუფების მისწრაფებას „შიგნიდან აეფეთქებინა მენდეს-ფრანსის კაბინეტი“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 1 თებერვალი. (საკდესი). 325 ხმით 286 ხმის წინააღმდეგ ეროვნულმა კრებამ უარყო მენდეს-ფრანსის მთავრობის პროექტი თებერვლის დროებითი ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტის თვიური დამტკიცება იმით აიხსნება, რომ ახალი წლის დამდეგისათვის საფრანგეთის პარლამენტმა ვერ დაამტკიცა მთელი 1955 წლის ბიუჯეტი. ისეთ უწყებათა ბიუჯეტები, როგორიც არის ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის სამინისტრო, ყოფილი ფრონტელების საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვები, პარლამენტმა უარყო ასიგნებათა არასაკმარისობის მიზეზით. ამიტომ ახლა საჭიროა გასავალი დამტკიცდეს ყოველი თვისათვის მანამდე, სანამ მთლიანად ბიუჯეტს არ მოიწონებენ.

ეროვნული კრების მიერ მთავრობის პროექტის უარყოფა, როგორც აქ აღნიშნავენ, მენდეს-ფრანსის მთავრობის ახალი დამარცხება იყო. ამ ფაქტს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ 2 თებერვალს ეროვნულ კრებაში იწყება კამათი ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომელიც, მიმომხილველთა სიტყვით, სერიოზულ საფრთხეს შეიცავს მთავრობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნულმა კომიტეტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩიკაგოელი კომუნისტი მოღვაწის კლოდ ლატფუტის ამასწინანდელი მსჯავრდადება კომპარტიის წევრობისათვის დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის გენერალური მდივნის იუჯინ დენისისა და კომპარტიის სხვა ხელმძღვანელთა მომავალ განთავისუფლებასთან — სასჯელის ვადის გასვლის გამო — რომელთაც 1950 წელს მსჯავრი დასდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის „ძალით დამხობის მიზნით შეთქმულებაში“ შეთითხნილი ბრალდების გამო.

ახლა დენისსა და კომპარტიის სხვა ხელმძღვანელებს, ნათქვამია განცხადებაში, მოელით მეორედ დაპატიმრება და საპყრობილეში ჩასმა მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი კომპარტიის წევრები არიან.

ეს ღონისძიება მიმართულია მთელი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, იმით წინააღმდეგ, ვინც არ ეთანხმება სამზედრო პოლიტიკას, რომელსაც უოლ-სტრიტი ახორციელებს. იგი მიმართულია იმით წინააღმდეგ, ვინც იბრძვის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

განცხადება შეიცავს მოწოდებას ყველა პოლიტიკური რწმენის ამერიკელებისადმი გაერთიანდნენ დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად.

თელავის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული სახლი.

ფოტო შ. გოქაძისა.

საგასტროლოდ ყამირ და ნასვენ მიწებზე

საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელები არიან სტალინური პრემიის ლაურეატები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი, საგასტროლოდ გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

პირველად ანსამბლი ეწვევა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს, სადაც გამართავს 12 კონცერტს, აქედან ორს — ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში. მოსკოვიდან ანსამბლი გაემგზავრება ლენინგრადში, ხოლო შემდეგ უკანის ქალაქებში.

ამ საგასტროლო მოგზაურობის დროს ანსამბლი პირველად ეწვევა ციმბირის და შუა აზიის რესპუბლიკების ქალაქებს. იგი მომსახურებას გაუწევს ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად მომუშავე ჩვენი ქვეყნის პატრიოტებს. სულ ამ გასტროლების განმავლობაში ანსამბლი 90-ზე მეტ კონცერტს გამართავს.

ქართული მუსიკალური ფოლკლორი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ათი წელია არსებობს ქართული მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტი. ამ ხნის განმავლობაში კაბინეტში შეგროვებულია 700-მდე სხვადასხვა ჟანრის ქართული სიმღერა და მუსიკალური ნაწარმოები.

კაბინეტის მუსიკალური ფონდი განუწყვეტლივ მდიდრდება. საქართველოს სხვადასხვა რაიონში ყოველწლიურად იგზავნებიან კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეები და სტუდენტები ხალხური სიმღერების შესაკრებად. გასულ წელს მოეწყო სამი ექსპედიცია ყაზბეგის რაიონში, იმერეთსა და რაჭაში. ექსპედიციის წევრებმა 200-მდე სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოები ჩაწერეს.

ამჟამად კაბინეტი გამოსაცემად ამზადებს ქართულ ხალხურ მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულს.

კაბინეტში ინახება ყველა სახის ქართული ხალხური ინსტრუმენტების ნიმუშები. აქვეა ა. ყარაშვილის, ზ. ფალიაშვილის ხელნაწერები, მ. ბალანჩივაძისა და ზ. ფალიაშვილის წერილები. ქართული მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტი მომსახურებას უწევს როგორც კონსერვატორიის სტუდენტებს, ისე მუსიკის პედაგოგებს და კომპოზიტორებს.

კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 1

თბილისის კინოსტუდია — „ქართულმა ფილმმა“ ამ დღეებში რესპუბლიკის ეკრანებზე გამოუშვა ახალი კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 1 (რეჟისორი ო. ჭიაურელი, ოპერატორები გ. ასათიანი, ლ. არზუმანოვი, ა. სემიონოვი, ნ. ნაგორნი, ა. პოლისოვი, ბ. კრეპსი).

ჟურნალის პირველი კადრები ასახავენ ი. ბ. სტალინის ძეგლის გახსნას ქალაქ ბათუმში. შემდეგ გადაღებულია თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის სადიზელო სამჭრო. თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწინავე მჭყოველები, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ბათუმში.

კინოჟურნალის უკანასკნელი კადრები მიეძღვნა ქართველი ექიმების გამგზავრებას უამრი მიწებზე. გადაღებულია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ყაზახეთში გგზავნილი სანიმუშოდ მოწყობილი სადგომოფო.

ახალი საავტომობილო მარშრუტები

თბილისის ავტოვაგზლიდან ყოველდღიურად ათობით ავტობუსი გადის რუსთავის, ფთინი წყაროს, დუშეთის, დმანისის, ფასანაურის, სიღნაღის, ქალაქ ორჯონიკიძის, ქალაქ ერევნის და სტეპანავანის, აგრეთვე საგარეჯოსა ჟურორტების — კაკეთის, კოჯრის, მანგლისის და სხვა მიმართულებით. სულ დაწესებულია 35 მარშრუტი. ზაფხულობით დამსვენებლებს საშუალება აქვთ კომფორტაბელური ავტობუსით იმგზავრონ კურორტ კისლოვოდსკში. ზოგ მარშრუტზე გაზრდილ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით მანქანები დღეში ორ-სამჯერ დადიან.

ახლახან თბილისის ავტოვაგზალმა რამდენიმე ახალი მარშრუტი დაწესა. დაიწყო საგზაო ავტობუსების ყოველდღიური მიმოსვლა თბილისი — თელავის, თბილისი — სტალინირის, თბილისი — წითელწყაროს, თბილისი—ბაკურიანის, თბილისი — ლაგოდეხის მიმართულებით.

ამჟამად ავტოვაგზალი ემზადება გაზაფხულზაფხულის სეზონისათვის. სწავლობენ ახალი მარშრუტების დაწესების საკითხებს. განსაზღვრულია სეზონისათვის მანქანების რიცხვის ეტაპობრივად გადიდება.

სასპორტო ღონისძიებათა კალენდარი

დამტკიცებულია ჩვენი რესპუბლიკის 1955 წლის სასპორტო ღონისძიებათა კალენდარი. კალენდარი ითვალისწინებს სპორტის მასობრივობის შემდგომ აღმავლობას. თვითეული სპორტული ღონისძიება დაიწყება ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებათა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში, გაგრძელდება ნებაყოფლობითს სასპორტო საზოგადოებებში, რის შემდეგ მიეწყობა რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური შეჯვდრები.

რესპუბლიკური კალენდარი მოიცავს შეჯვდრებს სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი კომპლექსურ ღონისძიებებს, მძლეოსნობას, ტანვარჯიშს, ჭიდაობას, ჭიდრაკს, ფეხბურთს და სპორტის სხვა სახეობებს.

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 4 და 5 თებერვალს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ. აღმოსავლეთის ზომიერი, მდინარე რაიონს ხეობაში ძლიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთ რაიონებში მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ; აღმოსავლეთ რაიონებში ცვალებადი მოღრუბლულობა, 4 თებერვალს უმეტესად უნალექოდ. 5 თებერვალს მცირე ნალექი. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით დასავლეთ რაიონებში 7-12, აღმოსავლეთ რაიონებში 4-9 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 9-14 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1. 1955 წ. 16 თებერვალს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ბრიგოლ ბაგრატის-ძე პაჭკორია

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში“.

2. 1955 წ. 18 თებერვალს დღის 3 საათზე № 120 აუდიტორიაში გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ქეთევან გიორგის ასული ჩუბინიშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სამხრეთ კახეთის ზედა მიოცენური ნალექების პეტროგრაფია“.

3. 1955 წ. 19 თებერვალს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

მიხეილ ნიკოლოზის-ძე რაზმაძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Советское социалистическое правосудие (демократические начала отправления правосудия в СССР)“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე

პირველად თბილისში

ახალი ორიგინალური ატრაქციონი მსახიობ

ა. სოკოლის

-ხელმძღვანელობით

„სასწაულები უსასწაულოდ“

და განახლებული დიდი საცირკო წარმოდგენა

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 6 თებერვალს

დღის ორი სანახავები წარმოდგენა. დასაწყისი დღის 12 საათზე და 3 საათზე. ბილეთები იყიდება სახელოვნებო სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და 2, პლეხანოვის პროსპ. № 97 და ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე. ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია დაუსწრებელ განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ა. წ. 13, 27 თებერვალს, 13, 27 მარტს, 10, 24 აპრილს და 8, 29 მაისს ინსტიტუტის შენობაში (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 32) დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე სტუდენტ-დაუსწრებელთათვის ჩატარდება კონსულტაციები.

თბილისში და თბილისის ახლო მდებარე რაიონებში მცხოვრებ სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

მოქალაქე **კარლო ბოგდანის-ძე პაპოვმა**, მცხოვრებმა ფიგნერის ქ. № 15, აღძრა საქმე ნეკრასოვის ქ. № 9 მცხოვრებ მოქალაქე **ევგენია ნიკოლოზის ასულ ლალაიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა **მაშიკო ოჯახით** თუწყება

ოლია დიომიდის ასულ ჯინჭველაშვილი-ტყეშელაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ საყულიაში (ქუთაისის რ.) 6-II, 5 ს.

მეუღლე **ოლია, შვილები ტატიანა** და **დავით** თუწყებიან

ნიკოლოზ სოლომონის-ძე ედიგაროვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება მირცხულავას ქ. № 1.

მეუღლე **მიტროფანე, შვილი ლიანა** თუწყებიან

ელენე ფილიმონის ასულ დაბუნდარიძე-გოგუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-II ქ. ქუთაისში. გამოსვენება წერეთლის ქუჩის II შესახვევი № 3.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ეროვნული ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებისა — 3-[illegible]-65, გამომცემლობის დირექტორისა — 3-65-41, სტამბის დირექტორისა — 3-77-70.

УЕ 00322

ჰოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.